ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

09 დეკემბერი 2024

N 6-16

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ[1]“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლების შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

ა) „ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“ (დანართი №1);

ბ) „ფიზიკური პირი ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმები“ (დანართი №2);

გ) „იურიდიული ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმები“ (დანართი №3).

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი,

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

https://edoc.mof.ge/public/#/16-16-4-202412091020

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

დანართი №1

ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის წესი

მუხლი 1. წესის მიზანი და მოქმედების სფერო

1. „ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“ (შემდგომ — წესი) განსაზღვრავს ამ ბრძანების №2 და №3 დანართებით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების (შემდგომ — ანგარიშგება) ცალკეული ველების შევსების პრინციპებს, ასევე, მისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ — სამსახური) წარდგენის წესს.

2. ანგარიშგების წარდგენის მიზანია, სამსახურის მიერ შეფასდეს კონკრეტულ პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტერთან, სერტიფიცირებულ ბუღალტერთან, აუდიტორთან, საბუღალტრო ფირმასთან და აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმასთან ასოცირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები.

3. დისტანციური ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, ანგარიშვალდებული პირები სამსახურს აწვდიან ინფორმაციას ამ წესით დადგენილი ფორმითა და ვადებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანგარიშვალდებული პირი — „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერტიფიცირებული ბუღალტერი, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი და აუდიტორი, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ საქმიანობას, ასევე, საბუღალტრო ფირმა და აუდიტორული (აუდიტური) ფირმა;

ბ) ბენეფიციარი მესაკუთრე — „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული ფიზიკური პირი;

გ) გარიგება — ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ;

დ) გარიგების მოცულობა — ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების სანაცვლოდ კლიენტისგან მიღებული ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება არ ხორციელდება ფულადი ფორმით — გარიგების საგნის საბაზრო ღირებულება.

ე) დაკავშირებული გარიგებები — დროის გონივრულ პერიოდში დადებული გარიგებები ან/და სხვა კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრული ერთჯერადი გარიგებები, რომლებიც ერთსა და იმავე კლიენტს უკავშირდება.

ვ) ერთჯერადი გარიგება — გარიგება (გარდა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებისა), რომელიც ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევას ითვალისწინებს;

ზ) კლიენტი — პირი, რომელიც ანგარიშვალდებულ პირთან საქმიან ურთიერთობას ამყარებს ან ანგარიშვალდებულ პირთან დებს ერთჯერად გარიგებას მისი მომსახურებით სარგებლობის მიზნით;

თ) მნიშვნელოვანი წილი — აუდიტორული ფირმის/საბუღალტრო ფირმის წილის ან/და ხმის უფლების 10 პროცენტის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობა ან საწარმოს მართვაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ხმის უფლების ოდენობის მიუხედავად;

ი) რეესტრი — პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების, საბუღალტრო ფირმების, სერტიფიცირებული ბუღალტრების ან/და აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრი;

კ) საანგარიშგებო პერიოდი — 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი;

ლ) საქმიანი ურთიერთობა — ანგარიშვალდებულ პირსა და კლიენტს შორის განგრძობითი კომერციული ან პროფესიული ურთიერთობა, რომელიც ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევას გულისხმობს;

მ) სებ — საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს ეროვნული ბანკი;

ნ) შესაბამისობის კონტროლის სისტემა — შიდა კონტროლის პოლიტიკის, წესების, სისტემებისა და მექანიზმების ერთობლიობა;

ო) საქველმოქმედო ორგანიზაცია —საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაცია.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. ანგარიშგების ფორმების ძირითადი ველები ივსება შესაბამისი რეესტრის ანგარიშვალდებული პირის გვერდზე არსებულ ჩანართში ანგარიშვალდებული პირის , მისი შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ცალკეული მათგანი არარედაქტირებადია და ივსება ავტომატურად.

2. ანგარიშგება უტყუარად და სრულად უნდა ასახავდეს მოთხოვნილ ინფორმაციას და უნდა იქნეს წარდგენილი სამსახურისთვის, ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში.

3. ანგარიშგების სამსახურისთვის წარდგენის შემდგომ, არ არის შესაძლებელი ანგარიშგების პროგრამულად რედაქტირება. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი ან/და კორექტირებული ინფორმაციის მიწოდების საჭიროება არსებობს სამსახურისთვის, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია პროგრამულად წარუდგინოს სამსახურს კონკრეტული ანგარიშგების ჩანართში, „დამატებითი ინფორმაციის წარდგენის“ ველის მეშვეობით.

4. ანგარიშგება მოიცავს კლიენტსა და ანგარიშვალდებულ პირს შორის საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული გარიგებების შესახებ ინფორმაციას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში, გარიგების შესრულების თარიღისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

5. თუ კლიენტს საანგარიშგებო პერიოდში რამდენჯერმე შეეცვალა რისკის დონე, ანგარიშგების ფორმა №2-ში ის ფიქსირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მინიჭებული რისკის კატეგორიის შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს აქვს რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა, ანგარიშგების ფორმა №4-ში კლიენტის შესახებ ფიქსირდება იმ ქვეყნების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უფრო მაღალი რისკის იურისდიქციადაა მიჩნეული.

7. ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად სამსახურისთვის წარდგენილი ინფორმაცია არ არის საჯარო.

8. სამსახური უფლებამოსილია „ფულის გათეთრებისა დეა ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შემოწმების ჩატარების ან ანგარიშვალდებული პირის რისკის დონის განსაზღვრის მიზნით ანგარიშვალდებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტი) (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).

მუხლი 4. ანგარიშგების ფორმები

ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ფორმებს:

ა) ზოგადი ინფორმაცია და ანგარიშვალდებული პირის მიერ დამტკიცებული დოკუმენტების ნუსხა (ფორმა №1);

ბ) ინფორმაცია კლიენტთა ბაზის სტრუქტურის შესახებ (ფორმა №2);

გ) ინფორმაცია კლიენტთა საქმიანობის ტიპებისა და სფეროს შესახებ (ფორმა №3);

დ) ინფორმაცია კლიენტთა გეოგრაფიული არეალის და მათთან დადებული გარიგებების შესახებ (ფორმა №4);

ე) ინფორმაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმიანობების შესახებ (ფორმა №5);

ვ) ინფორმაცია სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საეჭვო სტატუსით გაგზავნილი ანგარიშგებების შესახებ (ფორმა №6);

ზ) ინფორმაცია გასატარებელი ღონისძიებების/რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ (ფორმა №7).

მუხლი 5. ზოგადი ინფორმაცია და დამტკიცებული დოკუმენტების ნუსხა (ფორმა №1)

1. ანგარიშგების ფორმა №1 მოიცავს ანგარიშვალდებული პირის მიერ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე დამტკიცებული დოკუმენტების ნუსხას და ანგარიშვალდებული პირის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობისთვის და ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას. იურიდიული პირის შემთხვევაში ფორმა ასევე მოიცავს ანგარიშვალდებული პირის ფილიალების რაოდენობისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ(ებ)ისა და ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ის შესახებ ინფორმაციას.

2. ანგარიშვალდებული პირის მიერ დამტკიცებული დოკუმენტების ნუსხის ველებში ანგარიშვალდებული პირი ავსებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მის მიერ დამტკიცებული, მოქმედი, ერთიანი დოკუმენტის ან დოკუმენტების სახელწოდებას და ამოქმედების თარიღს.

3. მნიშვნელოვანი წილის მფლობელ(ებ)ისა და ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ის შესახებ ინფორმაციას ანგარიშვალდებული პირი ავსებს ასეთი პირის სახელის, გვარის, მოქალაქეობისა და პირადი/პასპორტის/დოკუმენტის ნომრის თაობაზე.

4. თუ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი იურიდიული პირია, ანგარიშვალდებული პირი ავსებს ინფორმაციას ასეთი პირის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო კოდის, რეგისტრაციის თარიღისა და ქვეყნის თაობაზე.

5. სამსახური უფლებამოსილია იმ ანგარიშვალდებული პირის, რომელთა მნიშვნელოვანი წილის მფლობელ(ებ)ი და ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი საქართველოს მოქალაქეები არიან ან ფლობენ დროებითი/მუდმივი ბინადრობის მოწმობას, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების ვერიფიკაციისთვის გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

6. ანგარიშვალდებული პირის წილის მფლობელების შესახებ ინფორმაცია ივსება ავტომატურად. აღნიშნული მონაცემების ასახვა ხდება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზიდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრებში დაცული მონაცემების საფუძველზე, სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

7. საბუღალტრო ფირმების შემთხვევაში, შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობისთვის და ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაცია ივსება ავტომატურად, საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე, ფორმის სამსახურში გაგზავნის თარიღისთვის აქტუალური მონაცემების მიხედვით და მოიცავს სახელს, გვარს, პირად/პასპორტის ნომერსა და საკონტაქტო ნომერს.

8. მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით სამსახურმა უნდა დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

მუხლი 6. ინფორმაცია კლიენტთა ბაზის სტრუქტურის შესახებ (ფორმა №2)

1. ანგარიშგების ფორმა №2 ითვალისწინებს რისკის დონეების მიხედვით კლიენტთა რაოდენობისა და ანგარიშვალდებულ პირსა და კლიენტებს შორის საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული გარიგებების მოცულობის შესახებ ინფორმაციას.

2. ანგარიშგების ფორმის შევსებისას უნდა მოხდეს კლიენტთა კლასიფიკაცია რისკის დონეების მიხედვით „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 7. ინფორმაცია კლიენტთა საქმიანობის ტიპებისა და სფეროების შესახებ (ფორმა №3)

1. ანგარიშგების ფორმა №3 ითვალისწინებს კლიენტების დაყოფას კორუფციის მომეტებული რისკის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მომეტებული რისკის, ასევე სხვადასხვა ნიშნით მომეტებული რისკის მატარებელი კლიენტების რაოდენობისა და ანგარიშვალდებულ პირსა და ასეთ კლიენტს შორის საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული გარიგებების მოცულობის შესახებ ინფორმაციას.

2. ანგარიშგების ფორმა №3-ში არ აისახება სახელმწიფო, (მათ შორის, უცხო სახელმწიფოს) 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების შესახებ ინფორმაცია, რომელთა საქმიანობასაც წარმოადგენს იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო და საბრძოლო-სატრანსპორტო ტექნიკის (მათ შორის, მათი ნაწილების), ბირთვული რეაქტორების მასალების წარმოება ან/და ვაჭრობა, ასევე, ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის, ლითონის მადნების, ძვირფასი ქვების მოპოვება და ნავთობპროდუქტების წარმოება, გარდა მაღალი რისკის იურისდიქციებად, არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე), საყურადღებო ან ოფშორულ ზონებად განსაზღვრული სახელმწიფოების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიებისა.

3. სათამაშო ბიზნესი გულისხმობს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობებს.

4. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობა (წარმოება/რეალიზაცია) ასევე მოიცავს ძვირფასეულობის მაღაზიებსა და საიუველირო სახლებსაც.

5. ანტიკვარულ ნივთებთან და ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებული საქმიანობა (რეალიზაცია) ასევე მოიცავს ანტიკვარიატისა და ხელოვნების ნიმუშების მაღაზიებსა და აუქციონის მომწყობ პირებს.

6. ქეშ-ინტენსიური ბიზნესი მოიცავს ისეთ კლიენტებს, რომელთა საანგარიშგებო პერიოდში ნაღდი ფორმით განხორციელებული ოპერაციების (შემოსავალ/გასავალი) ჯამური მოცულობა აღემატება 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს.

7. სპორტული კლუბები მოიცავს საფეხბურთო, საკალათბურთო და სხვა მსგავსი ტიპის კლუბებს, გარდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებისა.

8. საქველმოქმედო ორგანიზაციებში ასეთი სტატუსის მქონე პირებთან ერთად აისახებიან ის პირებიც, რომელთაც საქმიანობის სფეროდ უფიქსირდებათ საქველმოქმედო საქმიანობა.

9. გრანტის გამცემი (დონორი) მოიცავს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს, გარდა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირისა.

10. გრანტის გამცემი (დონორი) და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, არ მოიცავს ადმინისტრაციულ ორგანოებს და მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს, ავტორიტეტულ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებს (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), მსოფლიო ბანკი (WB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)) და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს.

11. მაღალშემოსავლიანი პირები გულისხმობს დიდი ოდენობით (1 (ერთი) მილიონი ლარი და მეტი) ლიკვიდური აქტივების მქონე ფიზიკურ პირებს. ანგარიშვალდებული პირი, საკუთარი საქმიანობის მოცულობისა და ხასიათის მიხედვით, თავად განსაზღვრავს ლიკვიდური აქტივების ოდენობას, რომლის საფუძველზეც კლიენტი განისაზღვრება მაღალშემოსავლიან პირად.

12. ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შესახებ ინფორმაცია მოიცავს ფეთქებადი ნივთიერებების, არაორგანული და ორგანული ძირითადი ქიმიკატების, სამრეწველო აირების ან/და აზოტის ნაერთების მწარმოებელ კომპანიებს. დეტალური კლასიფიკაცია მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მოქმედ რედაქციაში.

13. თუ კლიენტი ერთდროულად არის ფორმა №3-ით გათვალისწინებული რამდენიმე ნიშნით რისკის მატარებელი, ინფორმაცია აისახება მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორში, რომელიც, ანგარიშვალდებული პირის რისკის შეფასების სისტემის მიხედვით უფრო მეტი რისკის მატარებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით.

მუხლი 8. ინფორმაცია კლიენტთა გეოგრაფიული არეალის და მათ მიერ განხორციელებული გარიგებების შესახებ (ფორმა №4)

1. ანგარიშგების ფორმა №4 მოიცავს კლიენტების რაოდენობრივ მაჩვენებელს გეოგრაფიული არეალის მიხედვით და ამ არეალებთან დაკავშირებული გარიგების რაოდენობას და მოცულობას, რაც იყოფა იურიდიული პირი და ფიზიკური პირი კლიენტების მიხედვით.

2. ფორმა №4-ის ფარგლებში ანგარიშვალდებული პირი ახდენს კლიენტის კლასიფიკაციას მოქალაქეობის/რეგისტრაციის ქვეყნის მიხედვით.

3. ფორმა №4-ში, ქვეყნების გასწვრივ, სამსახურის მიერ მითითებულია სხვადასხვა საფუძვლით მომეტებული რისკის მქონე ქვეყნები.

4. თუ კლიენტი ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეა, ანგარიშვალდებული პირი უფრო მაღალი რისკის მქონე ქვეყნის ფარგლებში ავსებს მონაცემებს.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშვალდებული პირის მოქალაქეობის ქვეყნების რისკების დონეები ერთმანეთის ტოლია, ანგარიშვალდებული პირი ინფორმაციას მიუთითებს შესაბამის ველში, თავისი შეხედულებისამებრ.

6. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კლიენტის მოქალაქეობის ერთ-ერთი ქვეყანა საქართველოა, კლიენტის შესახებ ინფორმაცია მიეთითება სხვა ქვეყნის გასწვრივ.

მუხლი 9. ინფორმაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმიანობების შესახებ (ფორმა №5)

1. ანგარიშგების ფორმა №5 მოიცავს ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტების, განხორციელებული გარიგებების რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაციას შემდეგ საქმიანობებთან დაკავშირებით:

ა) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა ან ჩუქება;

ბ) ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მართვა;

გ) საბანკო ანგარიშის, შემნახველი ანგარიშის ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მართვა;

დ) იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობის ან მართვის მიზნებისთვის შენატანების ორგანიზება;

ე) იურიდიული პირის, არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის ან ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის შექმნა, საქმიანობა ან მართვა;

ვ) სამეწარმეო იურიდიული პირის წილის ან აქციების ყიდვა-გაყიდვა.

2. თუ ერთი მომსახურების ფარგლებში განხორციელებულია სხვადასხვა გარიგების ტიპი, ანგარიშვალდებული პირი ორივე გარიგების ტიპის ფარგლებში ავსებს მონაცემებს, სადაც შესაბამისად უნდა გაიმიჯნოს გარიგებების მოცულობები. გარიგების ოდენობის ზუსტად გამიჯვნის შეუძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სიზუსტით.

მუხლი 10. ინფორმაცია სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საეჭვო სტატუსით გაგზავნილი ანგარიშგებების შესახებ (ფორმა №6)

1. ანგარიშგების ფორმა №6 მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარდგენილი საეჭვო სტატუსის მქონე ანგარიშგებების შესახებ ინფორმაციას.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა ფორმა №6-ში უნდა მიუთითოს საეჭვო გარიგების სტატუსი (ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, სხვა), სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მინიჭებული ნომერი (სარეგისტრაციო) და სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ანგარიშგების გაგზავნის თარიღი.

3. იმ შემთხვევაში, თუ სტატუსის სვეტში მონიშნულია „სხვა“, „დამატებითი ინფორმაციის“ ველში უნდა მიეთითოს ამ სტატუსის მინიჭების საფუძველი.

მუხლი 11. ინფორმაცია გასატარებელი ღონისძიებების/რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ფორმა №7

1. ანგარიშგების ფორმა №7 მოიცავს ანგარიშვალდებული პირისთვის სამსახურის მიერ დაიდენტიფიცირებულ გასატარებელ ღონისძიებას/რეკომენდაციას.

2. გასატარებელი ღონისძიების/რეკომენდაციის ველი და სამსახურის მიერ ანგარიშვალდებული პირისთვის დადგენილი შესრულების ვადა ივსება სამსახურის მხრიდან და არარედაქტირებადი ველებია.

3. ანგარიშვალდებული პირი ავსებს ინფორმაციას შესრულების მდგომარეობის (სტატუსის), შესრულების თარიღისა და გატარებული ზომების შესახებ, რომელიც ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდს.

4. შესრულების მდგომარეობის ველში ივსება ღონისძიების/რეკომენდაციის შესრულების სტატუსი („შესრულებული“, „ნაწილობრივ შესრულებული“, „შეუსრულებელი“).

5. თუ შესრულების მდგომარეობა (სტატუსი) „შეუსრულებელია“ ან „ნაწილობრივ შესრულებულია“, ანგარიშვალდებულ პირს უჩნდება კომენტარის ველი, სადაც უთითებს არჩეული სტატუსის მიზეზს.

მუხლი 12. ანგარიშგების წარდგენის ვადები

1. ანგარიშვალდებული პირი ყოველი წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის საანგარიშგებო პერიოდზე, ანგარიშგებას სამსახურს წარუდგენს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა.

2. კონკრეტული ანგარიშვალდებული პირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, ანგარიშვალდებული პირის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებების, ასევე, სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სამსახური უფლებამოსილია ანგარიშგება გამოითხოვოს ვადაზე ადრე, რა შემთხვევაშიც ანგარიშვალდებული პირი ანგარიშგებას წარადგენს 30 კალენდარული დღის ვადაში.

3. კონკრეტული ანგარიშვალდებული პირისთვის განსხვავებული საანგარიშგებო პერიოდი (უფრო მოკლე ან ხანგრძლივი) შეიძლება, სამსახურის გადაწყვეტილებით, განაპირობოს აღნიშნული ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონემ ან/და სხვა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის მნიშვნელოვანმა ფაქტორმა.

მუხლი 13. ანგარიშგების წარდგენის წესი

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, აუდიტორი, საბუღალტრო ფირმა და აუდიტორული (აუდიტური) ფირმა, ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში, საკუთარი რეესტრის გვერდზე, შესაბამის ჩანართში, ავსებს ანგარიშგებას და უგზავნის სამსახურს.

2. აუდიტორისა და აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ სამსახურისათვის მონიტორინგის ფარგლებში ან სარეგისტრაციო მიზნებისთვის ინფორმაციის წარდგენა არ ათავისუფლებს მას ამ წესის მიზნებისთვის ანგარიშგების წარდგენისგან.

3. სერტიფიცირებული ბუღალტერი, ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში, ანგარიშგების ატვირთვის მიზნებისთვის სარგებლობს სამსახურის ვებგვერდზე, სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრის შესაბამისი ჩანართით.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

ამ ბრძანებით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ანგარიშვალდებული პირის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის ანგარიშვალდებული პირი წარადგენს წლიურ ანგარიშგებას, რომლის საანგარიშგებო პერიოდიც იქნება 2025 წლის 01 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ანგარიშვალდებული პირი ანგარიშგებას სამსახურს წარუდგენს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2026 წლის 31 იანვრისა.

3. სამსახურმა 2024 წლის ბოლომდე უზრუნველყოს ანგარიშგების ელექტრონული წარდგენის პროგრამული უზრუნველყოფა ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად.